მარეკის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №3(137) 2017 წ. 1-15 თებერვალი ფასი 50 თეთრი

პროექტი წარმატებით ხორციელდება

რეგისტრირდება და საკუთრებაში გადადის

როგორც ცნობილია 2016 წლიდან ქვეყანაში ხორციელდება მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო პროექტი, რომელიც საშუალებას აძლევს მიწის მფლობელებს უფასოდ დაირეგისტრირონ მათ საკუთრებაში არსებული, სხვადასხვა მიზეზებით აქამდე ჯერ კიდევ დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთები. ახალი პროექტის თანახმად, საჯარო რეესტრი სრულიად უფასოდ ეხმარება მოქალაქეებს საკუთრების დამადასტურებელი საბუთების მოძიებაში, აწესრიგებს ყველა საჭირო საბუთს, ამასთან, ხსნის ზოგიერთი ხარვეზიანი დოკუმენტის ბარიერს და ა.შ.

მიწის უფასოდ დარეგისტრირებასთან ერთად, ამ პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალია ისიც, რომ იგი ითვალისწინებს მიწების დარეგისტრირებას იმ პირებისთვისაც, ვისაც თვითნებურად აქვთ დაკავებული მიწის ნაკვეთები და არ გააჩნიათ მიწის ფლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები. ასევე შემთხვევაში, ასეთ პირებს საქართველოში დახმარებას უწევენ მუნიციპალიტეტებში არსებული მიწის საკუთრების უფლების ადიარების კომისიები, რომლებიც საფასურის გადახდის გარეშე იღებენ გადაწყვეტილებებს მიწის ნაკვეთების მიკუთვნების შესახებ. ამ კომისიების მიერ გაცემული საკუთრების მოწმობის საფუძველზე ასეთ პირებს შეუძლიათ უფასოდ დაირეგისტრირონ ამ კატეგორიის მიწის ნაკვეთები. ასეთი კომისია ჩვენს მუნიციპალიტეტშიცაა შექმნილი, რომლის თავმჯდომარე მუნიციპალიტეტის გამგებელი <u>*გიორგი გზირიშვილია.*</u>

იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს და რა შედეგები აქვს ამ კუთხით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მიწის საკუთრების უფლების ადიარების კომისიას, გვესაუბრება ამ *კომისიის თავმჯდომარე.*

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მიწის საკუთრების უფლების ადიარების კომისია, – აღნიშნა მან, – შეიქმნა გასული წლის 1 აგვისტოს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №376 დადგენილების „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთების საკუთრების უფლების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ მიხედვით. მინდა გითხრათ, რომ აღნიშნული კომისია არის დამოუკიდებელი ორგანო და ანგარიშ-

დასასრული მე-6 გვერდზე

მილოცვა

დაბადების დღეს ვულოცავთ *საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს* **გიორგი გზირიშვილს.** ვუსურვებთ წარმატებებს სამსახურებრივ საქმიანობაში და ბედნიერებას პირად ცხოვრებაში.

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია

ინფრასტრუქტურა – 2017

მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარდება

საგარეჯოს *მუნიციპალიტეტის საკრებულოს იანვრის ბოლო სხდომაზე საკრებულოს წინაშე მოხსენებით „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ წარსდგა* <u>*საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი თინათინ ძაბილაშვილი.*</u>

როგორც ქ-ნი თინათინის მიერ წარმოდგენილი მოხსენებიდან გაირკვა, გასულ წელს საქართველოს მთავრობის №34,39, 506,265,175 განკარგულებებით,„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხებიდან ნაშთმა თანხის გარკვეული ნაწილი შეადგინა, რომლის ათვისებაც მიმდინარე წელს უნდა მოხდეს. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით ვთხოვეთ მას გაზეთის მკითხველისათვის განემარტა ის პრიორიტეტები, რაც აღნიშნული თანხით იქნება მოგვარებული.

– დიახ, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის №265 განკარგულებით 2016 წელს „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხიდან ნაშთი 297 333,27 ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესასრულებლად იყო გამოყოფილი და გეტყვით, რომ:

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და რეაბილიტაციის ხარჯებში ნაშთმა **46311,45 ლარი** შეადგინა;

– **წყლის** სისტემების რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია და მოვლა-შენახვის ხარჯებში – 105 127,32 ლარი;

– **გარე განათების** მოწყობის ხარჯებში – 32 940,19 ლარი;

– **კეთილმოწყობის** სხვა ღონისძიებების ხარჯებში – 27547,63 ლარი;

– **სანიაღვრე** არხების აღდგენის ხარ-

დასასრული მე-6 გვერდზე

ამომრჩეველს ანგარიშს აბარებს კომისია

„როცა გაჭირვებულს სახელმწიფოს მხარდაჭერის ეიმედება“...



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა **კომისიის თავმჯდომარის მევლუდ დუჩიძის** მიერ საგარეჯოს საკრებულოს სხდომაზე წარმოდგენილი ამავე კომისიის 2016 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში ერთი შეხედვით ინფორმაციულ ხასიათს ატარებდა, უბრალოდ, „მშრალი ციფრები“ გვეუბნებოდა, რომ:

– „**სოციალური**, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიაში გაწევრიანებული იყო 9 დეპუტატი.

– **2016** წლის განმავლობაში კომისია შეიკრიბა და ჩაატარა 30 სხდომა.

– **კომისიის** სხდომებზე მოსმენილ და განხილულ იქნა მრავალი საკითხი, რომლებზედაც გამოტანილი იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები, მათ შორის ბიუჯეტის პროექტის განხილვა, დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა.

– **კომისიამ** მოისმინა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი სამსახურების და განყოფილებების მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშები.

– **კომისიამ** მოისმინა და შეაფასა არაკომერციული იურიდიული პირების მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშები, პერიოდულად ეცნობოდა ადგილზე მათი მუშაობის პირობებს.

– **2016** წლის განმავლობაში ფინანსურ დახმარებასთან დაკავშირებით კომისიაში შემოვიდა 302 განცხადება. კომისიის გადაწყვეტილებით ფინანსური დახმარება გაეწია მოქალაქეებს 146451 ლარის ოდენობით.

– **2015** წელთან შედარებით მომატებულია როგორც მოქალაქეთა განცხადების რაოდენობა, ასევე, მოქალაქეებისათვის გაწეული ფინანსური დახმარების ოდენობა.

– **კომისიის** ყველა წევრი გასული ერთი წლის განმავლობაში აქტიურად მუშაობდა სხდომებზე და არ ყოფილა შემთხვევა, სხდომა გადადებულიყო ქვორუმის არარსებობის გამო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთი შეხედვით ეს ინფორმაცია თითქოს მცირე წარმოდგენას გვაძლევს კომისიის მუშაობის შესახებ, მაგრამ, ამ პატარა ინფორმაციაში ის დიდი მუშაობაა ჩადებული, რომელსაც კომისიის თითოეული წევრი მთელი თავისი შეგნებითა და ძალისხმევით ეწევა. კომისიის შემადგენლობაში თავმჯდომარესთან ერთად არიან: **ჭაბუკა ჭანტურია, თამარ სუხიაშვილი, ნიკო გიუაშვილი, ვანო ძარუმიძე, სოსო ჯიძაძე, გია ჭინჭარაძე, ია ჭინჭარაძე, ოთანე ელერდაშვილი, ამორან სონიშვილი.** კომისია 2014 წელს შეიქმნა და პირველი სხდომაც 5 აგვისტოს გამართა. მარტო იმ მოკლე ხანში მათ 22 სხდომა ჩაატარეს და 30 განცხადება განიხილეს. ეს განცხადებები ეკონომიურად და სოციალურად გაჭირვებული ოჯახებიდან იყო შემოსული, რომლებიც არ იღებდნენ შემწეობას. სწორედ აღნიშნული კომისიის დასკვნის შედეგად მათზე დახმარების სახით 31000 ლარი გაიცა. ასევე იყო 2015 წელსაც. კომისიის 46 სხდომაზე 256 განცხადება განიხილეს და განხილვის საფუძველზე 81000 ლარი გაიცა დახმარების სახით. ხოლო 2016 წელს 31 სხდომაზე 300 განცხადების განხილვის შემდეგ – 146000 ლარი. სულ კომისიის შექმნიდან მიმდინარე წლის 1 თებერვლამდე 113 სხდომა ჩატარდა და კომისიის წევრებს 600-მდე განცხადების განხილვა მოუწიათ. დახმარების სახით კი მუნიციპალიტეტის მოქალაქეებზე სულ 240 ათასი ლარი გაიცა.

კომისია განიხილავდა გამონაკლისის სახით იმ მოქალაქეთა განცხადებებს, რომელთა სარეიტინგო ქულა აღემატება 120000-ს, მაგრამ მათი ეკონომიური მდგომარეობა მძიმეა და არ ჰქონდათ შესაძლებლობა დამოუკიდებლად დაეფინანსებინათ სამედიცინო ხარჯები.

როგორც *კომისიის თავმჯდომარემ* **მევლუდ დუჩიძემ** გვითხრა:

– კომისიაში შემოსული არც ერთი განცხადება ჩვენი კომისიის წევრების მიერ ყურადღების გარეშე არ ყოფილა. კომისია მუშაობს იმ დებულების მიხედვით, რომელიც ფუნქციონირების პროცესში ანიჭებს კომისიას მთელ რიგ უფლებამოსილებას.

შეგახსენებთ, რომ ჩვენი კომისია განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს: წინადადებებს, რეკომენდაციებს, დასკვნებს: სოციალური, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა განვითარების მუნიციპალურ პროგრამათა პროექტების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე ახალგაზრდული დაწესებულებების, არასამეწარმეო იურიდიული პირის ფორმით შექმნისა და მათ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, მუზეუმების, თეატრების, გამოფენების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების საქმიანობის ხელშემწყობი მუნიციპალურ პროგრამათა პროექტების, ჯანდაცვისა და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მომსახურების მუნიციპალურ პროგრამათა პროექტების, მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და დასაქმების ხელშემწყობი მუნიციპალურ პროგრამათა პროექტების, თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან მოსახლეობის დამატებით სოციალური მომსახურების სახეების დაფინანსების შესახებ და ა.შ.

ამასთან, კომისიაში შექმნილია კომისიის სამუშაო ჯგუფები: განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და ჯანდაცვის საკითხთა სამუშაო ჯგუფი; სოციალური უზრუნველყოფისა და დასაქმების საკითხთა სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული სამუშაო ჯგუფები წინასწარ განიხილავენ და შემდეგ კომისიას განსახილველად წარმოუდგენენ იმ საკითხებს, რომლებიც კომისიამ შემდგომში უნდა განიხილოს და რეკომენდაცია მისცეს მის საკრებულოს ბიუროზე განხილვას.

კომისიაში, ასევე, შექმნილია საკონსულტაციო საბჭოები, რომლებშიც შესაბამისი დარგის კომპეტენტური, სათანადო გამოცდილების მქონე, მოწვეული ექსპერტ-კონსულტანტი შედის. ისინი კომისიის თავმჯდომარის წინადადებით წინასწარ განიხილავენ კომისიის სხდომაზე განსახილველ საკითხებს, შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს და წინადადებებს, განიხილავენ კომისიის გამგებლობას მიკუთვნებულ სფეროში არსებულ პრობლემებს და მათი გადაწყვეტის შესაძლო გზებს.

როგორც აღვნიშნეთ, კომისია საკრებულოს 9 წევრისაგან შედგება. კომისიის ყველა წევრთან გასაუბრება ვერ შევძელით, მაგრამ როგორც მათ – ბატონებმა ნიკო გიუაშვილმა, ვანო ქარუმიძემ, ამირან სონიშვილმა, გიორგი ჭინჭარაძემ აღნიშნეს, კომისიის თითოეულ სხდომაზე (და წარმოიდგინეთ, ეს ციფრი 113-ია 1 თებერვლამდე) მათ უწევდათ უდიდესი პასუხისმგებლობის გამოჩენა თითოეული საკითხის განხილვისას, რადგან ყოველი განცხადების უკან ეკონომიურად გაჭირვებული ადამიანი დგას. ყველას სათქმელი კი *დეპუტატმა გიორგი ჭინჭარაძემ* ასე ჩამოაყალიბა: – *სიმართლე გითხრათ, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში თითოეული ჩვენთაგანი რაღაცნაირად მობილიზებული ვიყავით. კომისიაში შემოსული განცხადების განხილვის პროცესში ვგრძნობდით, რომ ეს იყო უაღრესად მძიმე და საპასუხისმგებლო საკითხები. განცხადების გაცნობის დროს რაღაცნაირად ვითრგუნებოდით. მოგეხსენებათ, ქართველი კაცი ამაყია თავისი ბუნებით, მას თუ არ გაუჭირდა, ხელს არ გაიშვერს დასახმარებლად. აქედან გამომდინარე, ვგრძნობდით, რის ფასად უჯდებოდა განმცხადებელს ჩვენამდე მოსვლა. განხილვის შემდეგ, მითუმეტეს, დადებითი პასუხის მიცემის შემდეგ კი შვებას ვგრძნობდით – კაცი, ამ შემთხვევაში განმცხადებელი მუნიციპალიტეტის თვითმმართველობაში იმედით და რწმენით მოდიოდა, მას ხომ ჯანმრთელობისათვის ესაჭიროებოდა სახელმწიფოდან დახმარება და კომისიაც, რომელიც, სიმართლე გითხრათ, მართლაც დიდი სიზუსტით, პროფესიული ცოდნიდან გამომდინარე (აქ იურისტები, ექიმი, პედაგოგი, ეკონომისტია) მთელი თავისი შესაძლებლობით გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ აძლევდა სათანადო დასკვნას – დახმარებაზე რეკომენდაციას. იმ ერთ დღეს მართლაც ჩვენც, კომისიის წევრებსაც გვიხაროდა ის, რომ საკრებულოდან, გამგეობიდან გაჭირვებული ადამიანი ხელგამართული მიდიოდა...*

ჩვენ ყოველთვის მზად ვართ ჩვენზე დაკისრებული პასუხისმგებლობისა და მოვალეობის ზედმიწევნით მართლაც დიდი პასუხისმგებლობით შესრულების, – განაცხადეს კომისიის წევრებმა.

P.S. *1 თებერვლიდან მოქალაქეთა სოციალურ დახმარებაზე თანხმობას საკრებულოს ამ კომისიის ნაცვლად მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილი სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციით მუნიციპალიტეტის გამგებელი გასცემს.*

ცვლილებები სოციალური დახმარების პროგრამაში

დახმარება სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციით

გასული წლის 30 დეკემბრის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბოლო სხდომაზე განხილული საკითხის „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2017 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ განხილვისას საკრებულომ შესაბამისი დადგენილება (№23) გამოიტანა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მიმდინარე წლის 27 იანვარს საკრებულოს სხდომაზე საჭირო გახდა გამოტანილ დადგენილებაში (№23) ცვლილებების შეტანა. ცვლილებების შესახებ განმარტება ვთხოვეთ ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების გამგეს*** **სოფო შაქარაშვილს**. როგორც მან გვითხრა:

– აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილებები პროგრამის მე-5 მუხლმა განიცადა. ეს მუხლი განსაზღვრავს სოციალური დახმარების სამიზნე ჯგუფებს და მე-7 მუხლის პირველ პუნქტს, რაზედაც ახლა ამ საკითხით დაინტერესებულ პირებს განვუმარტავ. მაშ ასე, სოციალური დახმარების სამიზნე ჯგუფში გაერთიანდებიან ეკონომიურად და სოციალურად დაუცველი ის ოჯახები, რომლებიც ***არ იღებენ სოციალურ შემწეობას და მათი ოჯახის სარეიტინგო ქულა არის 65001-დან 120000-მდე.*** ეს ქულები მინიჭებული უნდა იყოს 2016-2017 წლებში და ასევე, დახმარება გაიცემა 2015 წელს შემოწმებულ იმ ოჯახებზე, ვისი სარეიტინგო ქულაც 65001-დან 120000-მდეა და საარსებო შემწეობა განისაზღვრება 10 ლარით ოჯახის თითოეულ 16 წლამდე ასაკის წევრზე.

პირველ და მეორე შვილზე ახალშობილთა იმ ოჯახებზე გაიცემა დახმარება, რომლებიც რეგისტრირებულები არიან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მათი სარეიტინგო ქულა 0-დან 120000-მდეა. ასევე, დახმარება მიეცემა იმ მრავალშვილიან ოჯახებს, რომლებიც ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არიან დარეგისტრირებული და ჰყავთ 4 და მეტი შვილი. მათი სარეიტინგო ქულა 0-დან 120000-მდეა.

კვლავ გაგრძელდება ეკონომიურად და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობისა და ოპერაციების დაფინანსება, მათი სარეიტინგო ქულაც ამ შემთხვევაში 0-დან 120000-მდე აითვლება. ამ კატეგორიაში არიან პირველი ჯგუფის მქონე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და ომში მონაწილე პირები, მაგრამ ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის, რომ თუ მათი დაფინანსება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებშია, მაშინ თანადაფინანსება მოხდება დაუფინანსებელი თანხის არაუმეტეს 70%-ით.

იმ პირებისათვის, რომელთაც ამოწურული აქვთ სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამით სარგებლობის ლიმიტი, ან არ სარგებლობენ არც ერთი სხვა დაზღვევით და მათი სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა, ან ესაჭიროებათ სასწრაფო გადაუდებელი ოპერაცია, ან მკურნალობა, რომელიც არ ფინანსდება სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამით, ან არ სარგებლობენ არც ერთი სხვა დაზღვევით, ამ შემთხვევაში სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება სწორედ ამ პირებზე განხორციელდება.

პროგრამაში გათვალისწინებულია ***შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე,*** აქ იგულისხმება პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდ პირთა რეაბილიტაცია.

ონკოლოგიურ ავადმყოფებს დახმარება გაეწევა სტაციონარული, ამბულატორიული და ოპერაციული მკურნალობისთვის, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული თანხის 70%.

ასევე, მოხდება ***ეკონომიურად და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა დაფინანსება, რომელთა სარეიტინგო ქულა 0-დან 120000-მდეა. ასევე, შშმ პირების, ომში მონაწილე პირების, ონკოლოგიური დაავადებების მქონე და მძიმედ მიმდინარე, სიცოცხლისათვის საშიში დაავადებების მქონე პირთათვის.***

პროგრამა ასევე ითვალისწინებს ეკონომიურად და სოციალურად გაჭირვებული ოჯახების სამედიცინო-დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული, კომპიუტერული ტომოგრაფიის, კორონოგრაფიის და ბირთვულ-მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევების დაფინანსებას, ვისაც სარეიტინგო ქულა 0-დან 120000-მდე აქვთ. ასევე, ამ შედავათებით ისარგებლებენ აღნიშნულ გამოკვლევებში შშმ პირები, ონკოლოგიური დაავადებების მქონე, ომში მონაწილე პირები.

სოციალური დახმარების სამიზნე ჯგუფში შედიან ასევე:

– **შეზღუდული** შესაძლებლობების მქონე ბავშვები – 18 წლამდე.

– **უდედმამო** ბავშვები – 18 წლამდე.

– **უპატრონო** მიცვალებულები, რომელთაც არ ჰყავთ არც ერთი რიგის მემკვიდრე და სოციალურად დაუცველი პირის (რომლის სარეიტინგო ქულა არის 65001-მდე) დაკრძალვის ხარჯები.

– **საქართველოს** ერთიანობისათვის ბრძოლაში მონაწილე ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები.

– **იძულებით** გადაადგილებულ პირთა დაკრძალვის ხარჯები;

– **დიდი** სამამულო ომის ვეტერანები.

პროგრამაშია ასევე ჩართული აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლის“ ***უფასო სასადილოების დაფინანსება*** და შეგახსენებთ, რომ ***უფასო სადილით მოსარგებლეთა კონტიგენტია:*** სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახები, მარტოხელები, შრომისუუნარო პენსიონერები, მრავალშვილიანი ოჯახები, ობოლი ბავშვები.

პროგრამა ითვალისწინებს ***95 წელს*** გადაცილებულ ხანდაზმულებზე ერთჯერადად დახმარების გაცემას.

ერთჯერადად დახმარება გაიცემა ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ***მარტოხელა მშობლის*** სტატუსის მქონე პირების მიმართ, რომელთა სარეიტინგო ქულა 0-დან 120000-მდეა.

პროგრამა ითვალისწინებს ***ჰემოდიალიზზე მყოფ მოქალაქეთა*** სოციალურ დაცვას, სტიქიური უბედურების და ხანძრის შედეგად დაზიანებული სახლების მაცხოვრებელთა საცხოვრებლით უზრუნველყოფას, სოფელ უდაბნოს ეკონომიურად და სოციალურად გაჭირვებული ოჯახების ტრანსპორტირებას.

და კიდევ, ***განსაკუთრებულ შემთხვევებში*** სამუშაო ჯგუფის დასკვნისა და შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულიდან გამგებლის წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე, შესაძლოა გამოყოფილ იქნეს დახმარება ყველა მუხლით იმ პირთა მიმართ, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ სამიზნე ჯგუფების მოთხოვნებს, თუმცა მათი ეკონომიური, სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმეა.

– და საინტერესოა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2017 წლის პროგრამის განხორციელებაზე ვინ იქნება პასუხისმგებელი?

– სწორედ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს გასული წლის 30 დეკემბრის №23 დადგენილებაში შეტანილი ცვლილებებით „პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანოა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო ჯგუფი, რომლის რეკომენდაციის საფუძველზე დახმარება გამოიყოფა მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებულებით.

ჩვენი მუნიციპალიტეტი

სოფელი დიდი ჩაილური

საქართველოში ყველა კუთხეს, ყველა სოფელს თავისი ისტორია აქვს. ასევეა ჩვენი მუნიციპალიტეტის თითოეული სოფელიც. მისი ისტორია კი შეგვახსენებს ჩვენს მოვალეობას იმ მიწა-წყლის მიმართ, რომელმაც გაგვზარდა და დღესაც გვასაზრდოებს. ვალი კი ერთია – ვუპატრონოთ, ვუერთგულოთ და ვეცადოთ, მის გულზე უცხო ტომელმა ავი განზრახვით არ დააბიჯოს ფეხი, პირიქით, პატივი სცეს ჩვენი სოფლის წარსულს, კეთილად შეაფასოს, დაინახოს აწმყო და მომავალშიც პატივისცემა არ დაკარგოს...

და ერთიც, ზოგიერთმა ზედმიწევნით სრულყოფილად არც იცის თავისი სოფლის წარმოშობის ისტორია. ამიტომაც, წელსაც ვაგრძელებთ ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან ჩვენი სოფლების ისტორიის, აწმყოს და მომავლის გაცნობას. და თუ სრულყოფილად ვერ ავსახავთ თითოეული სოფლის წარმოშობას, მის ისტორიას, ვთხოვთ ჩვენი გაზეთის მკითხველს, თუ ხელი მიუწვდება უფრო ვრცელ და საინტერესო მასალაზე, მოგვაწოდოს, რათა უფრო მდიდარი გავხადოთ სოფლის „არქივი“...

ამჯერად გთავაზობთ დიდი ჩაილურის ისტორიას, რომელიც ამავე სოფლის საჯარო სკოლის ისტორიის პედაგოგის ეკა ჯიკაძე-ვეშაპიძის ხელმძღვანელობით მოამზადეს ამავე სკოლის მეათეკლასელმა მარიკა ბერულაშვილმა და მეცხრეკლასელმა მარიამ გურგენიძემ.

ძნელად თუ მოიპოვება ისეთი მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მქონე ქვეყანა, როგორიც საქართველოა.

საქართველოს ყოველი კუთხე ნათლად ასახავს ისტორიის სხვადასხვა ეტაპს.

ამ მხრივ გამორჩეულია კახეთი. იგი განთქმულია: კახური ღვინით, მწვადით, ჩურჩხელით, თათარით, თონის პურით და სხვ. კახეთი მდიდარია ვენახებითა და უძველესი ციხე–სიმაგრეებით. ჩვენ ვთვლით, რომ თუ ადამიანს ერთხელ მაინც არ აქვს ნანახი კახეთი, მას თავის ცხოვრებაში ბევრი რამ დაუკარგავს. ასეთთა რიცხვს ჩვენი მშობლიური სოფელი დიდი ჩაილურიც მიეკუთვნება თავისი დღემდე შემორჩენილი ტრადიციებით.

ჩაილური

ჩაილურიც, როგორც ყველა სოფელი საქართველოში, გამორჩეულია თავისი წარსულითა და ტრადიციებით. იგი საგარეჯოს რაიონის ერთ–ერთი დიდი სოფელია. მდებარეობს კახეთის გზატკეცილის ჩრდილოეთ მხარეს, მდინარე „ჩაილურის ხევის“ ორივე სანაპიროზე -- მარჯვნივ -„დიდი ჩაილური“, მარცხნივ -„პატარა ჩაილური“.

ტოპონიმი „ჩაილური“ ნაწარმოებია ორი თურქულ–სპარსული სიტყვისაგან (ჩაი–წყალი, ლური–ხევი) და ნიშნავს „ხევის წყალს.” არსებობს მთელ საქართველოში გავრცელებული ერთი მეტად ხატოვანი გამოთქმა „ჩაილურის წყალი დალიაო“, ამ გამოთქმას ხმარობენ რაიმე დანაკარგის უიმედო ძებნისას, რაც ჩვენი ქვეყნის ბედუკუღმართი ისტორიის ანარეკლს წარმოადგენს.

ძნელბედობის ხანაში, როდესაც დაღესტნელი ფეოდალები სისტემატიურად თავს ესხმოდნენ ქართლ–კახეთს, მდევარი, განსაკუთრებით ქართლიდან, ტყვეთა დასახსნელად ჩაილურის ხევამდე მისდევდა გამტაცებლებს. თუ წაართმევდნენ ტყვეებს, მშობლიურ კერას უბრუნდებოდნენ, თუ ვერ მიეწეოდნენ და გამტაცებლები ჩაილურის ხევს გადაასწრებდნენ, შინ დაბრუნებული მდევარი უიმედოდ იტყოდა: „ვერაფერი გავაწყეთ, ჩაილურის წყალი დალიაო“, რაც იმას ნიშნავდა, რომ სამუდამოდ ეთხოვებოდნენ ნათესავები მშობლიური კერიდან მოწყვეტილ ახლობლებს.

მოკლედ გავეცნოთ ჩაილურის ისტორიას. როგორც დიდი, ისე პატარა ჩაილური ადრე ჩრდილოეთით იყო განლაგებული. ძველი ჩაილური ორი ნაწილისაგან შედგებოდა და ცალკ-ცალკე სახელები ჰქონდა: დაბლა ჩაილური და მაღლა ჩაილური. მაღლა ჩაილურელებმა დააარსეს „დიდი ჩაილური”, ხოლო დაბლა ჩაილურელებმა – „პატარა ჩაილური.”

ჩაილურის ჩრდილოეთით 1,5 კმ–ის დაცილებით მდინარე „ჩაილურის ხევის“ აღმოსავლეთით ახლაც არსებობს ოთხი გამოქვაბული. ერთ–ერთი გამოქვაბულის ფართობი 12 კვ.მ უდრის, სადაც ადამიანის ცხოვრების კვალი ჩანს...

ჩაილურის ციხე (ნიახურა)

ძველი მატერიალური კულტურის ძეგლებიდან აღსანიშნავია „ნიახურას“, ანუ ჩაილურის ციხე.

ჩაილურის ციხე დგას ყორღანის ტიპის მაღალ ბორცვზე და მანავის ციხის ხედვით არეშია მოქცეული. შუა საუკუნეების საქართველოში ძირითადი დასაყრდენი ბრძოლის დროს ციხეები იყო. „სახელმწიფოს სიძლიერის შემთხვევაში“ ქვეყნის დაცვის სისტემა ერთიანია. ამ ერთიანი თავდაცვითი ჯაჭვის არსებობაზე გავლენას ახდენდა აწყობილი „სიგნალიზაცია”. თუ „სიგნალიზაცია” კარგად მოქმედებდა, მაშინ მოულოდნელად შემოსულ მტერს ქვეყნის შიგნით მობილიზებული ჯარი ხვდებოდა. ნიახურას ციხეს საფორთიფიკაციო დანიშნულება ჰქონდა. ციხეების უმეტესი ნაწილი ისე იყო განლაგებული, რომ ერთმანეთის მიერ გაგზავნილ განგაშის სიგნალს მალევე ამჩნევდნენ. თავდაპირველად სიგნალს კოშკის თავზე ცეცხლის დანთებით გადასცემდნენ, / ნიახურას ციხის კოშკების თავზე ანთებული ცეცხლის კვამლი მანავის ციხის მცველებისათვის განგაშის ნიშანს წარმოადგენდა/. ცეცხლის კვამლი მოგვიანებით ცეცხლმსროლელმა იარაღმა შეცვალა.

ციხის ნანგრევები 50–იან წლებში ისტორიკოს პარმენ ზაქარაიას შეუსწავლია. მის მიერ ჩახაზული გეგმის მიხედვით ციხის ოთხ კუთხეში ცილინდრული კოშკებია აღმართული. ხოლო მეხუთე კუთხეზე კონტრფორსია მიდგმული. კოშკები ეზოს მხარეს სწორზედაპირიანია, გარედან კი–ნახევარწრიული.

„ჩრდილო–დასავლეთის კოშკი სხვებზე დიდია, იგი უკეთესადაა შემორჩენილი. ამჟამად მას თავი მორღვეული აქვს და დარჩენილია ნაწილობრივ სამი სართული. შესასვლელი, არქიტარული გადახურვით. კოშკის პირველ სართულზე აღმოსავლეთით ჩანს ორი სათოფე, სამხრეთით–ერთი, მეორე სართულზე სათოფეები ორრიგადაა განლაგებული. ზედა რიგზე ექვსი შეწყვილებული სათოფეა და ერთიც აღმოსავლეთის ბოლოში ცალმაგი. ქვედა რიგის შუა ორმაგია, სულ ბოლოში–თითო ცალმაგი. დასავლეთით ბუხარია, რომლის გადახურვა თაღოვანია და ჩანგრეულია ბუხრის გვერდებზე განლაგებული სამ–სამი ცალრიგი სათოფური. მესამე სართულზე გარე კედლებშიც შეინიშნება შვიდი სათოფური”. /პ. ზაქარაია /

ციხის გალავანი მთლად არსადაა შემორჩენილი. ციხის ნაშთებით ირკვევა, რომ გალავნის სიმაღლე უნდა ყოფილიყო არანაკლებ ხუთი–ექვსი მეტრი. გალავნის შიგნით ხის საბრძოლო ბლოკის მოსაწყობად 3,5 მეტრის სიმაღლის 20–25 სმ–იანი საფეხური უნდა ყოფილიყოს მოწყობილი. ციხის ქვედა კედლის სისქე არ აღემატება ერთ მეტრს. თუ სად უნდა ჰქონოდა ციხეს ჭიშკარი არ ირკვევა. სავარაუდოა, რომ მას ექნებოდა ორი გასასვლელი–შემოსასვლელი, ერთი ჩრდილოეთით, მეორე–სამხრეთით.

ციხის კოშკები და კედლები აშენებული ყოფილა რიყის ქვითკირის დუღაბზე.

ჩაილურის ციხის წარმოშობაზე და მის წარსულზე არავითარი ცნობა არ არის, მშენებლობის სტილით სავარაუდოა იგი აშენებული იყოს მე–17 საუკუნეში.

გასული საუკუნის 80-იან წლებში რაიონის მესვეურის ქალბატონ მედეა მეზვრიშვილის თაოსნობით ციხეს ჩაუტარდა რესტავრაცია და სრულად იქნა აღდგენილი პარმენ ზაქარაიას კვლევის საფუძველზე.

ციხე დარაჯობდა და დღესაც დარაჯობს კახეთისაკენ მიმავალ გზას. მას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი. დროგამოშვებით ეწყობა აქტივობები, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტის გამგეობა, ახალგაზრდული სამსახური, დიდი და პატარა ჩაილურელი სკოლის მოსწავლეები ჩვენს პედაგოგებთან და თანასოფლელებთან ერთად ვასუფთავებთ ციხეს და მის მიმდებარე ტერიტორიას. აქ ხშირად ტარდება ღონისძიებები და გაკვეთილები.

კოპალე

დიდი და პატარა ჩაილურის გასაყარზე მდებარეობს კოპალე, სალოცავი, რომლის აშენების თარიღი ჩვენთვის არ არის ცნობილი. ჩაილურელები „კოპალობას“ აღნიშნავენ აღდგომის მეორე დღეს. ისინი ადიან კოპალეში და კლავენ ცხვარს უფლის პატივისცემის ნიშნად. არსებობს ლეგენდა სამ ძმაზე, რომლებმაც ააშენეს ეს სალოცავი. ასევე ქართულ მითოლოგიაში გვხვდება გმირი დევების მძლევი კოპალა, რომელმაც განდევნა დევები და ხალხი ამ გმირს წმინდა გიორგისთან აიგივებს, ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ სოფლის მცხოვრებნი გიორგობასაც მოილოცავენ ხოლმე კოპალეში.

„ბერიკაობა“

როდესაც ჩაილურზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია არ ვახსენოთ ჩვენი სახალხო დღესასწაული „ბერიკაობა,” რომელიც დიდსა თუ პატარას ერთნაირად უყვარს და ყველა გულის ფანცქალით ელოდება. ეს დღე ნამდვილი ზეიმია ყველა ჩაილურელისთვის, რომელიც ყოველი წლის გაზაფხულით ან თებერვლის ბოლოს, ყველიერის კვირა დღეს იმართება.

ბერიკაობა ქართული ხალხური იმპროვიზაციული ნიღბების თეატრია. ტერმინი „ბერიკაობა” განაყოფიერების და შვილიერების კულტის სადიდებელ სანახაობას აღნიშნავს, და მას „ბერიკები” ასრულებენ. სცენარები საუკუნეთა მანძილზე იცვლებოდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. დროთა განმავლობაში „ბერიკაობამ” დაკარგა საკულტო რელიგიური დანიშნულება. ჩვენამდე მოღწეულია ბერიკაობის ასამდე სიუჟეტი, რომელთა უმეტესობა შექმნილია საყოფაცხოვრებო თემაზე. „ბერიკაობა” სამგვარი წყობისა იყო: კარდაკარ სასიარულო, მოედანზე სათამაშო და სადარბაზო. შერჩეულ მოედანზე იმართებოდა დიდი ბერიკაობა, რომელსაც ზოგჯერ ასამდე შემსრულებლი ჰყავდა. მისი ტრადიციული ნიღბები იყო: სასიძო, სარძლო, გლეხი, მაჭანკალი, თათარი, ექიმი, ტახი, დათვი და სხვა ცხოველები. „ბერიკაობაში” მხოლოდ მამაკაცები მონაწილეობენ. „ბერიკაობის” სამზადისს ერთი კვირით ადრე იწყებენ. ადრეულ გაზაფხულზე, ყველიერში სოფლის მამაკაცები იკრიბებიან მოედანზე და დღესასწაულისთვის სამზადისს იწყებენ. ირჩევენ წინამძღოლს, ბერიკაობის მონაწილეებს, საკრავებზე დამკვრელებს. მონაწილეები კერავენ სპეციალურ სამოსს, რომელიც ტყავისაგან და თექისაგან იკერება და ჭრელი ნაჭრებით არის მოოთული, თუმცა განსხვავებით ძველისაგან ახლანდელი „ბერიკები” მზა ნიღბებს ყიდულობენ (უმეტეს წილად საშინელებათა ფილმების პერსონაჟების). მაგალითად ერთ–ერთი ბერიკას სამოსი ხბოს ან ცხვრის გადმობრუნებული ტყავკაბაა, რომელსაც უკან საქონლის კუდი აქვს გამობმული, მას სახეზე აფარია ნიღაბი. ტომარასავით გადაკერილ უხეშ შავი ნაბდის ნიღაბს თავზე ორი გრძელი ყური და თხის ორი რქა აქვს დამაგრებული, მათ შუა ჩითის მძიმე ნაჭრის თოჯინა –„კუკი” ასკუპია. ნიღბის წვერ–ულვაში თხის ბალნით ირთვება. თვალების, ცხვირისა და კბილების გამოსაჩენი გამოიჭრება და ნაბადზე თხის წვერი მაგრდება.

ზოგიერთი ბერიკა თავის ფორმას უმატებს ბუმბულებს და კბილების ნაცვლად ამაგებს გოგრის თესლებს. სოფლის სტადიონზე ამზადებენ საჭიდაოს, ყრიან ნახერხს და ტყიდან მოტანილი მორისგან აწყობენ დიდ საქანელას, რომელსაც ხალხი „კაჩაიას“ სახელწოდებით მოიხსენიებს. ამ დღისთვის მთელი სოფელი ემზადება, რათა ღირსეულად დახვდნენ ბერიკებს. ყველა ოჯახი აცხობს ქადებს და ამზადებენ ძღვენს. „ბერიკები” ნიღბებს წინამძღოლის სახლში ირგებენ. სოფლის მოსახლეობა იკრიბება მოედანზე, ხოლო ახალგაზრდობა წინამძღვრის სახლთან. ბერიკები ყიჟინით და შოლტის ტყლაშუნით იწყებენ კარდაკარ შემოვლას. მათ უკან ხალხი მოყვება და იქ მყოფ ხალხს ბერიკები ტალახით თხუნავენ. თუ სოფლის ნებისმიერი ოჯახი ბერიკებს სიხარულით არ შეხვდება, ისჯება, მათ ჭიშკარს ისინი ტალახით მოსვრიან. როდესაც ბერიკები სოფლის ბოლომდე მივლენ, ჩერდებიან და მოედნისაკენ მიემართებიან. შემდეგ საჭიდაო წრეში ყვირილითა და შოლტის ქნევით შეცვივდებიან, იწყებენ ჭიდაობას. ზოგი კაჩაიაზე შემოჯდება და იქანავებს, ბოლოს ეს ყველაფერი მთავრდება „ტახის” „დაკვლით”, თუმცა „ტახიც” „მკვდრეთით” აღდგება, ისე, როგორც მრავალტანჯული საქართველოს სიმბოლო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში 8 სამსახურია, რომელთაგან ერთ-ერთის მუშაობას და მის თანამშრომლებს დღეს გაგაცნობთ

ადმინისტრაციული სამსახური არის გამგეობის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და გამგეობის სამსახურების საქმისწარმოებას, მათ კომუნიკაციას ერთმანეთთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ურთიერთობის ორგანიზებას მოქალაქეებთან იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო ორგანოებთან.

ადმინისტრაციული სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების, ადმინისტრაციული სამსახურის დებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

ადმინისტრაციული სამსახური შედგება 19 თანამშრომლისგან. სამსახურში შედის ორი განყოფილება: ***მოქალაქეთა მომსახურების განყოფილება და საზოგადოებასთან ურთიერთობის, საინფორმაციო, ადამიანური რესურსების მართვისა და ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის კოორდინაციის განყოფილება.***

მოქალაქეთა მომსახურების განყოფილება. მოქალაქეთა მომსახურების განყოფილებაში დასაქმებულია 11 თანამშრომელი, (განყოფილების უფროსი, 7 მთავარი სპეციალისტი და 3 სპეციალისტი) საზოგადოებასთან ურთიერთობის, საინფორმაციო, ადამიანური რესურსების მართვისა და ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის კოორდინაციის განყოფილებაში დასაქმებულია - განყოფილების უფროსი და 5 მთავარი სპეციალისტი.

ყველა თანამშრომელი დანიშნულია კონკურსის წესით. მხოლოდ ერთი სპეციალისტი არის ხელშეკრულებით.

მოქალაქეთა მომსახურების განყოფილება უზრუნველყოფს კოორესპონდენციის მიღებას, ატვირთვას და ადრესატამდე გადაგზავნას, გამგებლის დავალებების რეგისტრაციას, მათი შესრულების მონიტორინგს, ადმინისტრაციული წარმოების წესებისა და პროცედურების დაცვას, საქმეთა ნომენკლატურის შედგენას და არქივირებას.

ჩვენი სამსახურის ფუნქცია არის საარქივო დოკუმენტების მიღება-დამუშავება-შენახვაზე უზრუნველყოფა. არქივში დაცული მასალები 2000 წლიდან დღემდე საკრებულოს და გამგეობის კუთვნილი დოკუმენტებია. კერძოდ: კანცელარიის , საფინანსო, ზედამხედველობის, იურიდიული სამსახურების დოკუმენტაცია, ასევე საკრებულოს და საკრებულოსთან არსებული საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ მომზადებული მასალები .

ჩვენს მიერ გაკეთებული ელექტრონული ბაზის მეშვეობით მოქალაქე დროულად იღებს მოთხოვნილ დოკუმენტაციას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის , საინფორმაციო, ადამიანური რესურსების მართვისა და ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის კოორდინაციის განყოფილება უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ვებ–გვერდის ადმინისტრირებას.

ვახორციელებთ კომპიუტერული ქსელების ტექნიკურ გამართვასა და აწყობას, კომპიუტერებზე ოპერაციული სისტემების დაყენებას და საოფისე,თუ სხვა საჭირო პროგრამულ უზრუნველყოფას, დახმარებას ვუწევთ გამგეობის ყველა სტრუქტურულ ერთეულს სპეციფიური პროგრამების ათვისებაში და ზოგადად უზრუნველყოფთ გამგეობის გამართულ მუშაობას.

ჩვენი სამსახურის მიერ ხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული, სოციალური და სხვა პროექტების გაცნობა, დაფიქსირება სოციალურ ქსელსა და ვებ გვერდზე,ასევე •მედიამონიტორინგის წარმოება, ურთიერთობა მედიასთან და საჭიროების შემთხვევაში მედიისთვის სტატიის მომზადება, თანამდებობის პირების ურთიერთობის უზრუნველყოფა მასობრივ საინფორმაციო საშუალებებთან;

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ნოემბრის №591 დადგენილების „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის „სათათბირო ორგანოს–საბჭოს შექმნის შესახებ“ 2016 წლის 15 იანვრის №14 ბრძანების თანახმად ვმუშაობთ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირებისათვის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის საკითხებზე.

ჩვენი მუნიციპალიტეტიდან მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიიღო გომბორის, უჯარმის, კოჭბაანის თემებმა, სოფლებმა: ანთოკი, მარიამჯვარი, ზემო ყანდაურა და სათაფლე. (სულ 17 სოფელი).

პირველადი რეგისტრაციისას სტატუსი მიენიჭა 462 ადამიანს. შემდგომ ეტაპზე კი 695 ადამიანს.

ანა ნარიმანიშვილი

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

დაიბადა 1978 წელს

განათლება: პროდუქციის ხარისხის აუდიტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკის ფაკულტეტი.

სამუშაო გამოცდილება:

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის წამყვანი სპეციალისტი (2005-2006წწ).

სოფლის მეურნეობისა და მიწათსარგებლობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი (2006 წ. 6 თვე).

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი (2006-2007წწ, 2007-2008წწ).

გამგეობის აპარატის მთავარი სპეციალისტი (2008-2009 წ).

კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი (2009-2010წწ).

ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოებისა და კადრების განყოფილების მთავარი სპეციალისტი (2010-2014წწ).

ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი (2014წ) და შემდეგ ამავე სამსახურის უფროსი დღემდე.

ქეთევან გილაშვილი

მოქალაქეთა მომსახურების და საქმის წარმოების განყოფილების უფროსი

დაიბადა 1963 წელს.

დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი. პროფესიით ქიმიკოსი.

სამუშაო გამოცდილება:

ქიმიის მასწავლებელი სოფ. გიორგიწმინდის საშუალო სკოლაში (1985-1987 წწ).

ქიმიის მასწავლებელი საგარეჯოს №55 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში (1985-1999წწ).

მთავარი სპეციალისტი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში (2004-2008წწ).

მთავარი სპეციალისტი განათლების საკითხებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში (2008-2012წწ).

ადმინისტრაციული სამსახურის არქივის განყოფილების გამგე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში (2013წ).

მთავარი სპეციალისტი ადგილობრივი გადასახადებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების საკითხებში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში (2013-2014წწ).

საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში (2014-2015წწ).

ნატალია გილაშვილი

მთავარი სპეციალისტი – რეფერენტი

დაიბადა 1982 წელს

განათლება: პედაგოგი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, ეკონომისტი – ქ. საგარეჯოს პოლიტექნიკური კოლეჯი.

სამუშაო გამოცდილება – მთავარი სპეციალისტი – რეფერენტი (2008 წლიდან დღემდე.

თაკო თულაშვილი

მთავარი სპეციალისტი – რეფერენტი

დაიბადა 1980 წელს.

განათლება: ჭრა-კერვის კურსები, თსუს ტანსაცმლის მხატვარ-მოდელირების ფაკულტეტი.

სამუშაო გამოცდილება: დიზაინერი – სამკერვალო სალონი (2002-2006წწ), მენეჯერი – სამკერვალო სალონი (2007-2009წწ), პედაგოგი – ხატვა, ფერწერა (2007-2012წწ); პედაგოგი – ჭრა კერვის (2009-2010წწ); პედაგოგი – თექაზე მუშაობის (2007-2012წწ);

ნუცა როსტიაშვილი

მთავარი სპეციალისტი მოქალაქეებთან ურთიერთობის საკითხებში

განათლება: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საზოგადოებრივი ტექნიკური უნივერსიტეტი, საზოგადოებრივი ურთიერთობები.

სამუშაო გამოცდილება: საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი – არასამთავრობო ორგანიზაცია „მომავალი მომავლისათვის“ (2004-2005წწ).

სპეციალისტი – საზოგადოებასთან ურთიერთობის კომპანია „ჯემპრა“ (2005 წელი, 4 თვე);

ლექტორი – „საქართველოს ბარმენთა გილდია“ (2006-2007წწ).

საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი – „საქართველოს ბარმენთა გილდია“ (2006-2007წწ).

მინისტრის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის კონსულტანტი – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოცუზრუნველყოფის სამინისტრო – (2007წ. 7 თვე).

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური – ცხელი ხაზის ოპერატორი, ქ. თბილისის მერია (2008წ. 6 თვე).

სტილისტ-კორექტორი – ჟურნალი „ბაზისი“ (2011-2012წწ).

2014 წლიდან დღემდე მთავარი სპეციალისტია მოქალაქეებთან ურთიერთობის საკითხებში.

თეა თარიმანიშვილი

ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების და საქმის წარმოების განყოფილების მთავარი სპეციალისტი

დაიბადა 1975 წელს.

განათლება – დამოუკიდებელი უნივერსიტეტის „ალმა-მატერ“-ის დასავლეთ ევროპული ენების ფაკულტეტი, პარალელურად დ. გარეჯელის სახეობის ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტი.

სამუშაო გამოცდილება:

გამომცემლობა „ბუნება პრინტი“ (2010-2012წწ).

ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების და საქმის წარმოების განყოფილების უფროსი (2013-2014წწ).

ნელი გულიკაშვილი

ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმის წარმოების განყოფილების მთავარი სპეციალისტი კადრების წარმოების საკითხებში.

დაიბადა 1992წ

განათლება – თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

სამუშაო გამოცდილება: პრაქტიკანტი კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია (2014წ. 3 თვე).

დასასრული მე-5 გვერდზე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური

დასასრული

თინათინ მარხვაშვილი

ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი კადრების წარმოების საკითხებში

დაიბადა 1979წ.

განათლება – ტელემენეჯერი – ეროვნულ აკადემიასთან არსებული უნივერსიტეტი.

სამუშაო გამოცდილება – სოციალური სამსახურის მთავარი სპეციალისტი, სოციალური აგენტი, სოციალური სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

მანანა მელიქიძე

ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილების სპეციალისტი საქმის წარმოების საკითხებში.

დაიბადა 1989 წელს

განათლება – ფილიპე გოგაიჩაიშვილის სახელობის თბილისის იურიდიულ-ეკონომიკური უნივერსიტეტი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სპეციალობა – სამართალმცოდნე.

სამუშაო გამოცდილება: პარტია „ქართული ოცნების“ რაიონული ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარის თანაშემწე (2013-2014წწ).

პარტია „ქართული ოცნების“ რაიონული ორგანიზაციის ოფისმენეჯერი.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების საარჩევნო შტაბის ლოჯისტიკის კოორდინატორი (2014წ).

მუნიციპალიტეტის გამგეობის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმის წარმოების მთავარი სპეციალისტი – რეფერენტი (2014წ, 2 თვე).

მარინა ლაფაჩიშვილი

ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი არქივის საკითხებში

დაიბადა 1964 წელს.

განათლება – თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი – ბიოლოგი.

სამუშაო გამოცდილება: ბავშვთა რაიონული საავადმყოფო – ექიმი ლაბორანტი (1990-1996წწ); ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის წარმომადგენელი საგარეჯოს რაიონში (1996-2000წწ), რაიონის გამგებლის თანაშემწე საგარეჯოს რაიონის გამგეობაში (2010-2011წწ).

მაია დუჩიძე

ადმინისტრაციული სამსახურის სპეციალისტი (არქივის საკითხებში)

დაიბადა 1964 წელს.

განათლება: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მელიორაციის ფაკულტეტი – ინჟინერ ჰიდროტექნიკოსი.

სამუშაო გამოცდილება: საგარეჯოს წყალთა სისტემო სამმართველოში მელიორაციის ხაზით (1989-1992წწ); დეპუტატის ბიუროს წევრი (2008-2010წწ).

დალი რევაზიშვილი

ადმინისტრაციული სამსახურის სპეციალისტი (არქივის საკითხებში)

დაიბადა 1969 წელს.

განათლება: საგარეჯოს პოლიტექნიკური ტექნიკუმი – საბუღალტრო აღრიცხვა-ბუღალტერი.

სამუშაო გამოცდილება მმკ №1 ბუღალტერი.

ადამიანური რესურსების მართვისა და ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის კოორდინაციის განყოფილება

ილია მატიაშვილი

ადამიანური რესურსების მართვისა და ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის კოორდინაციის განყოფილების უფროსი



დაიბადა 1972 წელს

განათლება: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ინჟინერ-ეკონომისტი; თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციული ფაკულტეტი.

სამუშაო გამოცდილება:

ფინანსისტი – საავტომობილო გადამზიდი ფირმა „პერპოლ თრეველში“ (1994-1995წწ).

კომპიუტერული ქსელების პედაგოგი, ერთ-ერთი დამფუძნებელი შპს „ილია“ ი. ჭავჭავაძის სახელობის საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (2000 წლიდან დღემდე).

აუდიტორი, ი/მ „იოსებ მატიაშვილი“ დამოუკიდებელი ზოგადი აუდიტორი (2002-2006წწ).

ინფორმაციისა და ანალიზის განყოფილების გამგე – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა (2006-2014წწ).

გვანცა ჯავახიშვილი

ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში

დაიბადა 1992წ.

განათლება:



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგი.

სამუშაო გამოცდილება:

ადმწერი, საქსტატში (1 თვე – 2014წ)

საქმისმწარმოებელი – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ დუზაგრამის საჯარო სკოლაში (2014-2015წწ).

სიმონ მელაშვილი

ადამიანური რესურსების მართვისა და ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის კოორდინაციის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ საკითხებში

(2013 წლიდან დღემდე)

დაიბადა 1983 წელს;

განათლება: ინფორმატიკოსი, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მაგისტრთან გათანაბრებული, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი

სამუშაო გამოცდილება:

კომპიუტერების სპეციალისტი – შპს „პრომეთე და ამირანი“ (2003-2005წწ);

პროგრამისტი – შპს „ბინტექსერვისში“ (2005-2006წწ);

სოლისტი – საგარეჯოს ხალხური სიმღერების ანსამბლში „გარეჯი“ – (2011 წ-დან დღემდე).

ბუღალტერი – აუდიტორული და ბუღალტრული ფირმა „გარანტში“ 2011-2012წწ).

უსაფრთხოების ადმინისტრატორი საქართველოს ბანკში (2011-2013წწ).

გეგა ლაფაჩიშვილი

ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვისა და ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის კოორდინაციის განყოფილების მთავარი სპეციალისტი

დაიბადა 1993წელს

განათლება: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი.

ლელა ტეტიაშვილი

ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში.

დაიბადა 1979 წელს.

განათლება: თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ ენათა და კულტურათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, რეფერენტ-მთარგმნელი.

სამუშაო გამოცდილება: უცხო ენის მასწავლებელი ნინოწმინდის საჯარო სკოლაში (2014 წლამდე).

ნინო ქურხული

ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში

დაიბადა 1992 წელს.

განათლება: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, საერთაშიორისო ურთიერთობების მაგისტრი.

ნანა მარმარაშვილი

მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი მოქალაქეებთან ურთიერთობის საკითხებში.

დაიბადა 1969 წელს

განათლება: თბილისის №3 სამედიცინო სასწავლებელი. პროფესია სანიგიენისტი. სერიფიცირებული მანუალური თერაპევტი

სამუშაო გამოცდილება: საგარეჯოს რაიონული სანეპიდსადგურის ლაბორატორიის ლაბორანტი (1988-2006წწ).

პრტოექტი წარმატებით ხორციელდება

რეგისტრირდება და საკუთრებაში გადადის

დასასრული

ვალდებულია მუნიციპალიტეტის გამგებლისა და მასზე დელეგირებული უფლებამოსილი ორგანოს, კერძოდ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინაშე. კომისია თავის მუშაობას ეწევა საქართველოს ორგანული კანონის, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და ზემოაღნიშნული დადგენილების საფუძველზე. კომისია უფლებამოსილებას ახორციელებს სხდომის მეშვეობით და შესაბამისად არავის აქვს უფლება ჩაერიოს გადაწყვეტილების მიღების საქმეში.

– რა პერიოდულობით იმართება კომისიის სხდომები, ვინ და რამდენი წევრია მასში გაერთიანებული?

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მიწის საკუთრების უფლების აღიარების კომისია 8 წევრიანია. კომისია თავის სხდომებს მართავს საჯაროდ, მის პერიოდულობას კი განსაზღვრავს შემოსული განცხადებების რაოდენობა. კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ სამი წევრისა. რაც შეეხებათ კომისიის წევრებს, ესენი არიან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლები – დეპუტატები: კოტე ღოღელიანი, ივანე ბეჟიაშვილი, ალექსანდრე მეზვრიშვილი, მუნიციპალიტეტის გამგეობიდან იურისტი ბელა ხანგოშვილი, ნანა მარმარაშვილი, ნინო ფირყულაშვილი, სსიპ სახელმწიფო ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს კახეთის მომსახურების ცენტრის მთავარი სპეციალისტი ფარნაოზ ბეროშვილი.

– რა სახის დოკუმენტებია საჭირო იმისათვის, რომ მიწის თვითნებურად დამკავებელ პიროვნებას კომისიამ დაუდგინოს მიწის მფლობელობის უფლება?

– საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მოთხოვნის საფუძველია დაინტერესებული პირის,ანდა დაინტერესებული მხარის ან მათი წარმომადგენლის წერილობითი განცხადების წარდგენა. განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს განმცხადებლის ვინაობა, მისი მისამართი, განმცხადებლის მოთხოვნა, მასზე თანდართული დოკუმენტების ჩამონათვალი, თარიღი და ხელმოწერა. განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. მიწის თვითნებურად დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტი, ანდა არანაკლებ ორი მოწმის ჩვენება;

2. მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი (აგეგმვითი) ნახაზი, რომელშიც საკადასტრო მონაცემებთან ერთად მითითებული უნდა იყოს ასაღიარებელი მიწის ნაკვეთის და შენობა-ნაგებობის საზღვრები და ფართობები. ასევე ასაღიარებელი ფართობის მიმდებარე ტერიტორიები, რომლებიც მართლზომიერ მფლობელობაშია 2007 წლის 11 ივლისამდე.

3. ინფორმაცია საკუთრების უფლების აღიარების საფასურის განსაზღვრის შესახებ, რათა დადგინდეს მიწის კატეგორიები (სასოფლო და არასასოფლო დანიშნულებაზე); 4 დაინტერესებული პირის საიდენტიფიკაციო მოწმობის ასლები; 5. უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი იმის შესახებ, რომ ეს პიროვნება არ არის დარეგისტრირებული სოციალურად დაუცველ პირთა მონაცემთა ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 ათასს.

განმცხადებელს ასევე აქვს უფლება წარმოადგინოს სხვა დოკუმენტებიც, ასევე დაესწროს კომისიის სხდომას და მის წევრებს მისცეს სათანადო ახსნა-განმარტება მათთვის საინტერესო საკითხების ირგვლივ. განმცხადებელი ასევე უფლებამოსილია ერთი განცხადების საფუძველზე მოითხოვოს თვითნებურად დაკავებული სხვადასხვა მიწის ნაკვეთების აღიარება.

– ბ-ნო გიორგი, ამ საკითხის გარკვევის შემდეგ მგონი მივედით ერთ უმთავრეს საკითხამდე – თვითნებურად დაკავებული მიწის ფართობების რომელი კატეგორია ექვემდებარება აღიარებას და რომელი არა?

– თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებას ექვემდებარება ის მიწები, რომლებიც დაკავებულია 2007 წლის 11 ივლისამდე, ანუ ამ კანონის ამოქმედებამდე, კერძო ფიზიკური პირის მიერ თვითნებურად დაკავებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო, ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, რომლებზეც განთავსებულია საცხოვრებელი სახლები (აშენებული ან დანგრეული ან არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა (აუცილებლად აშენებული), ასევე დაინტერესებული ფიზიკური პირის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთები.

რაც შეეხება **აპრძალვებს**. ***საკუთრების არ აღიარებას ექვემდებარება***: 1. პირუტყვის გადასარეკი ტრასები; 2. სახელმწიფო წყლის ფონდის მიწა, გარდა იმ მიწების, რომელთა საკუთრებაში გადაცემა და გამოყენება შესაძლებელია წყლის შესახებ საქართველოს კანონით.

3. სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის მიწები, გარდა იმ მიწებისა, რომლებიც დაკავებულია ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ და რომელთა საკუთრებაში გადაცემა შესაძლებელია სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტის საფუძველზე.

4. დაცული ტერიტორიები (მიმდებარე ტერიტორიები), გარდა დაცული ლანდშაფტისა;

5. რეკრიაციული დანიშნულების ტყეპარკები, სკვერები, გაზონები;

6. ისტორიის, კულტურის, ბუნებისა და საკულტო-რელიგიური ძეგლები;

7. საზოგადოებრივი სარგებლობის მიწები: ტროტუარები, გზები, მდინარეთა სანაპიროები, ტყეპარკები, დენდროლოგიური პარკები, მიწები, რომელზედაც განლაგებულია ინფრასტრუქტურის ობიექტები, სატრანსპორტო, წყალსადენი, ელექტრო და კავშირგაბმულობის კომუნიკაციები და ა.შ.

8. სპეცდანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომელზედაც განთავსებულია სახელმწიფო ქონება და რომლებიც რეგისტრირდება სახელმწიფო ქონების შესახებ კანონით – სასაფლაოები, პანთეონები, სარიტუალო და დაცვითი ზონები, ნავთობისა და გაზის მაგისტრალები.

– როგორ, რა პრინციპით ხდება კომისიაში განსახილველ განცხადებებზე გადაწყვეტილების მიღება?

– გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს უჭერს კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმეტესობა. გადაწყვეტილების მიღება ტარდება ღია კენჭისყრით და თავის შეკავების უფლება კომისიის არც ერთ წევრს არა აქვს. მან ღიად უნდა დააფიქსიროს შემოსული განცხადების შესახებ თავისი პოზიცია, ან დასტური თანხმობაზე და ან არა.

– მიწებზე ქონების გადასახადი როგორ დაითვლება?

– ფიზიკური პირებისათვის საგადასახადო კოდექსის მიხედვით ეს გადასახადი შეადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ყოველ ერთ ჰექტარზე მიწის წლიური გადასახადის ათმაგ ოდენობას, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე კი 1 მ2-ზე წლიური გადასახადის 20-მაგ ოდენობას.

– ფუნქციონირების დაწყებიდან რამდენი მოქალაქის განცხადებაა შემოსული კომისიაში და რამდენ მათგანზე გაქვთ გამოტანილი დადებითი გადაწყვეტილება?

– 2016 წლის აგვისტოდან მიმდინარე წლის 1 თებერვლამდე კომისიაში სულ შემოსულია 258 განცხადება, საიდანაც 31 დეკემბრის ჩათვლით დადებითი გადაწყვეტილება გამოტანილია 23 განცხადებაზე, მიმდინარე წელს კი დადებითი პასუხი მიიღო 13-მა მოქალაქემ.

აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და მინდა მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ***შევახსენო***, რომ აღნიშნული ***სახელმწიფო პროექტი ხორციელდება 2018 წლის 1 ივლისამდე*** და მათ, ვისაც ჯერ კიდევ არ დაურეგისტრირებია მათ მფლობელობაში არსებული თვითნებურად დაკავებული მიწის ფართობები, დროულად მოგვმართონ მუნიციპალიტეტის მიწის საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში. რამდენადაც ცნობილია, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად, ეს პროექტი სახელმწიფოსგან ფინანსდება და კარგი იქნება, თუ მათთვის ფინანსურად ხელსაყრელ ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებენ.

ესაუბრა გივი დაბახიშვილი

ინფრასტრუქტურა – 2017

დაფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით

ახალი წლის დასაწყისიდანვე ახალ-ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების დამტკიცებას მოუთმენლად და დიდი ინტერესით მოელის ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობა. 2017 წლის 27 იანვრის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე საკრებულოს წევრებმა განიხილეს და ერთხმად მიიწონეს აქ წარმოდგენილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 2017 წელს განსახორციელებელი პროექტები, რომლებიც „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად ჩვენი მუნიციპალიტეტის ორ სოფელში – პატარძეულსა და ბადიაურში განხორციელდება. კონკრეტულად, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 212439,7 ლარით დაფინანსდება ***სოფელ პატარძეულში ე.წ. „შიოს უბანში“ გზის მოასფალტება.*** ამავე ფონდიდან დაფინანსდება ***სოფელ ბადიაურში ე.წ. „სოკარის წყლის“ ცენტრალური მაგისტრალის ამოცვლითი სამუშაოები თანხით 500000 ლარი.***

მალე პროგრამა „სოფლის მხარდაჭერით“ განსახორციელებელი პროექტების დასახელებაზე მოუწევთ საღი აზრის ჩამოყალიბება და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება ჩვენი მუნიციპალიტეტის 46-ვე სოფლის მოსახლეობას.

ინფრასტრუქტურა – 2017

მნიშვნელოვანი პროგლემები მოგვარდება

დასასრული

ჯებში – 20,529.09 ლარი;

– **სპვერების**, ბაღების მოვლა-შენახვის და ექსპლოატაციის ხარჯებში – 601,04 ლარი;

სხვა ხარჯები სოფლის მეურნეობის ხაზით ხარჯებში – 59975,34 ლარი;

– **განათლების** ხარჯებში – 595,81 ლარი;

– **სპორტული** მოედნების მოწყობა-რეაბილიტაციის ხარჯებში – 3705,4 ლარი.

რაც შეეხება საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის №506 განკარგულებით 2015 წელს „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხიდან ნაშთმა შეადგინა 37207,51 ლარი. ეს ნაშთი სხვადასხვა პროექტებში ასე გამოიყურება:

– **აღგილობრივი** მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და რეაბილიტაციო ხარჯებში – 1975,85 ლარი;

– **ხევების** კალაპოტების გამაგრება-გაწმენდის ხარჯებში – 1355,74 ლარი;

– **წყლის** სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია და მოვლა-შენახვის ხარჯებში – 9738,12 ლარი;

– **გარე განათების** მოწყობის ხარჯებში – 4496,26 ლარი;

– **კეთილმოწყობის** სხვა ღონისძიებების ხარჯებში – 11915.73 ლარი;

– **სანიაღვრე** არხების აღდგენის ხარჯებში – 1020.85 ლარი;

– სხვა ხარჯი **სოფლის მეურნეობის** ხაზით ხარჯებში – 2501,37 ლარი;

– **განათლების** ხარჯებში – 61,65 ლარი;

– **სპორტული** მოედნების მოწყობა-რეაბილიტაციის ხარჯებში – 886,94 ლარი;

– სხვა ხარჯები **კულტურის** ხაზით ხარჯებში – 784 ლარი;

გარკვეული თანხებია მორჩენილი საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის №175 განკარგულებით 2016 წელს გამოყოფილი თანხებიდან, რომლის ნაშთი შეადგენს **148166.80 ლარს:**

– **აღგილობრივი** მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და რეაბილიტაციის ხარჯებში – 100196.24 ლარი;

– **წყლის** სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია და მოვლა-შენახვის ხარჯებში – 39539.96 ლარი;

– **სკოლამდელი** დაწესებულებების ხარჯებში – 68430.6 ლარი;

– ქ. **საგარეჯოში**, ერისთავის ქუჩის მოასფალტებაზე 200000 ლარია გამოყოფილი;

– **გარე განათების** მოწყობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ხარჯებში – 35 180,1 ლარია გათვალისწინებული, აქედან:

– **უდაბნოში** – ახალ განათებას 3180.1 ლარი მოხმარდება;

– **უდაბნოში** ახალი განათების მოწყობას – 24 ათასი ლარი;

– სოფელ **ნინოწმინდაში** ე.წ. „აჭარელების უბანში“ გარე-განათებას 8000 ლარი მოხმარდება;

რაც შეეხება **წყლის სისტემის რეაბილიტაციას და ექსპლოატაციას** – მოვლა-შენახვის ხარჯები 10000 ლარია, აქ გათვალისწინებულია წყალმომარაგების სისტემების შეკეთების სამუშაოები.

კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების ხარჯები 140279,80 ლარს ითვალისწინებს. აქ გათვალისწინებულია:

– **ბაზრის** მშენებლობა ქალაქ საგარეჯოში – 90240,21 ლარი (მოგეხსენებათ მისი მშენებლობა უკვე მიმდინარეობს).

– **მუნიციპალიტეტის** საჯარო დაწესებულებებში პანდუსების მოწყობას 50000 ლარი მოხმარდება;

ასევე, გასული წლის ნაშთიდან **შპს „საგარეჯო“**-ზე გაიცემა სუბსიდია – 108800 ლარი;

– **სკოლამდელი** აღზრდის დაწესებულებებზე 130018,39 ლარი, რომელიც მოხმარდება მანავის №2 საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაციას – 30018.39 ლარი (აქ უკვე მიმდინარეობს), ხოლო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ეზოების კეთილმოწყობას 100000 ლარი მოხმარდება.

საერთოდ, **წინა წლის ნაშთიდან სულ 1789375.72 ლარი განაწილდა.** ეს თანხა შესაბამისად გადანაწილდა: ახალგაზრდული ღონისძიებების დასაფინანსებლად, კულტურის ხაზით სხვა ხარჯებისათვის, განათლების სფეროსა და სოციალური დაცვის სფეროში, სოფლის ამბულატორიების მომსახურების და სხვა ხარჯებში.

გარეჯელთა შემოქმედება
ახალი სახეები

ნატო პაპუაშვილი

წლები – ჩუქურთმა

ახლა ვიხსენებ მონატრებულ
წარსულის დღეებს,
ცხოვრების ბურუსს
აცისკროვნებს წრფელი ბავშვობა,
შემკრთალი ვუმზერ მივწყებულ
დროსა და ფერებს,
გამოუთქმელი სისადავით სულს
რომ ათბობდა!
ათბობდა ჩუმად სიყმაწვილის
უბადლო დღეებს,
გულს უხაროდა, გულს სწყუროდა
იმედით სუნთქვა,
რა დრო გასულა, უკან დარჩა
ნანატრი წლები,
წლები – სათუთი ოცნებების
მკვეთრი ჩუქურთმა!..
მინდოდა ცეკვის ქარიშხალში
გზა-კვალ არეულს,
ფეხის წვერებზე შემომევლო მთელი სამყარო,
წლებო, ხმა გამეც – სიყმაწვილის
დიდო ლამპარო!
რა დრო გასულა, უკან დარჩა
ლამაზი წლები...
მხოლოდ ის ვიცი, ჯერ არ მითქვამს
რაც უნდა მეთქვა.
წლებო, ჩირაღდნად ანთებულო
ოცნების გზებზე,
კვლავ მიკელაპტრე, სანამ ქვეყნად
ეს გული ფეთქავს,
გამოუთქმელი სისადავით სულს
რომ ათბობდა.

გიზო ნიშნიანიძეს

თუ გინდა რითმამ რომ იგიზგიზოს,
ნიშნიანიძეს უსმინე, გიზოს!
რა შეედრება რითმას აკინძულს მგოსნის ენაზე,
თუ გინდა რითმამ რომ იგიზგიზოს
ნიშნიანიძეს უსმინე, გიზოს!

კარდანახი

მაისის თვეში მოვინახულე კარდანახი,
გლეხკაცის ხელით მოქარგული
ბაღ-ვენახი;
განგების ფუნჯით მოხატული
მთების კალთა,
კავკასიონი დათოვლილი –
მწველი თვალთა!
მოვინახულე უტკბილესი ლექსის ფუძე,
ვფიქრობდი, კაცის წრფელი გული
რამდენს უძლებს;
შთაგონებული ნონეშვილის ლექსის
ხიბლით,
აღტაცებული ბუმბერაზი მთების
ხილვით!
მაისის თვეში – დათოვლილი
მთების კალთა,
სულ ახლოს იყო, ძალზე ახლოს
გულის კართან...
კალთის კიდეზე ბრიალებდა
ტურფა მდელო,
კარდანახიდან ჩანდა მთელი
საქართველო!

იმედი

ბუნება მოფარფატე ფანტელებით,
ძერწავს სურვილების მისხალს,
სარკმელთან გულმოდგინედ ვაკვირდები
თოვლის ფიფქს – ულამაზეს კრისტალს.
ზეცა ნაცრისფერი, იდუმალი,
ძერწავს სურვილების მადანს,
ფანტელი, უნაზესი ელვარებით,
სარკმელთან წამიერად დადნა.
ბუნება – თეთრი ფიფქით დაფარული,
უამრავ საიდუმლოს იტევს,
მდუმარე დამეები ინახავენ,
მომავლის შეუცნობელ მითებს...
ისევ მზე გაათბობს მადლიანი,
სარკმელთან მოფარფატე ფანტელს,
ბუნება- თეთრი ფიფქით დაფარული
ქვეყანას შეაგებებს ნათელს.

დალი ზალიაშვილი

დალი ზალიაშვილი საგარეჯოელია. 1986 წელს დაამთავრა საგარეჯოს IV საშუალო სკოლა. სკოლაში სწავლის პერიოდში წერდა ლექსებს, რომლებსაც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ჯილდა ცხადაიას ანდობდა შესაფასებლად. ნელ-ნელა დაიხვეწა, ცხოვრების გზამ, გარემომ, მეგობრებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მისი ლექსების თემატიკაზე... დღეს დალი თავის ლექსებს ჩვენ. ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველებს გვიმზეურებს და მოუთმენლად ელის შეფასებას.

„ლოდინი იყო შენი ნუგეში“

რა შემიძლია, ვარ უსუსური,
როგორ გიშველო საბრალო დედა?!
საწოლში წევხარ ახლა უძლური,
მეც მომერია შენსავით სევდა.
ლოდინი იყო შენი ნუგეში,
შვილის წინდები გქონდა უბეში,
ბევრჯერ აყვავდა ეზოში ნუში –
ფიქრობდი, თითქოს წავიდა გუშინ.
რითი გიშველო საბრალო დედა,
რომ შენს ტკივილებს მიეცეს შვება,
იძინებ ისევ მხოლოდ იმედით.
კარს შემოგიღებს შვილი ღიმილით.

სიყვარულმა სამყარო იხსნა

ჩაიარეს წლებმა, როგორც წყალი,
ისე გარბის, ვერც მოვკარით თვალი.
მიდის, მოდის აქ ბევრია მგზავრი
არ ჩერდება ამ ცხოვრების კარი.
ჩვენს სხეულში სული არის ვალი –
რამდენი აქვს ჩვენთან ყოფნის ხანი?!
არვინ ვიცით, როდის მოვა ჟამი,
მაშ, შევავსოთ სიყვარულის ჯამი.
ავმღერდებით, დაიწყება ლხენა,
იგი არის სულის აღმაფრენა,
სიძულვილით დაგვატყდება რისხვა –
სიყვარულმა ეს სამყარო იხსნა.

„სულ მეყვარები უფლის კარამდე“

ვუცქერ შენს თვალებს დამუნჯებული,
მიცქერ ამაყად გამარჯვებული.
მოგიღერია შველივით ყელი,
სანამ ვიცოცხლებ, ვერ შეგელევი.
შენი ღალატით მომკლავს ნაღველი,
დავდნები ისე, როგორც სანთელი.
ამოძახილი უკანასკნელი,
იქნება მხოლოდ შენი სახელი.
მე სიყვარული წმინდად ვატარე,
სულ მეყვარები უფლის კარამდე,
თუკი დაგკარგე, რა გამახარებს –
ცხოვრებას ჩემსას სიკვდილს ვადარებ.

„იქ, იმ ქვეყნად არაფერი წაუღიათ“

სირცხვილია, თუკი შველა შეგიძლია
და ზურგს აქცევ გაჭირვებულ
შენსა მოძმეს,
ვერას ხედავ, არავისთვის გიზრუნია,
დახმარების ხელს არ უწვდი შენს
მოკეთეს.
მიდი ტაძრად, უფალს სთხოვე პატიება
და მიიღე მადლიანი ზიარება,
იქ, იმ ქვეყნად არაფერი წაუღიათ,
გულზე ხელი ცარიელი დაუწყვიათ.
მიდი ტაძრად, უფალს სთხოვე პატიება
და მიიღე მადლიანი ზიარება,
იქ, იმ ქვეყნად არაფერი წაუღიათ,
გულზე ხელი ცარიელი დაუწყვიათ.

მართლმადიდებლობა

დავით აღმაშენებელი

8 თებერვალს დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა!

მეფემ 1103 წელს მოიწვია რუის-ურბნისის სასულიერო კრება. თვით დადგენილებანი ამ კრებისა ცხადად მოწმობენ, რაოდენად დაცემულიყო ზნეობა საქართველოს სამღვდელოებაში, რაოდენად შერყვნილიყო აზრი ქრისტიანობრივ სიმდაბლისა, სიყვარულისა. ბევრს საყდარი არა ღირსებად მოეტაცნაო, უსწავლელნი და უმეცარნი ქურდულად შესულიყვნენ ღვთის ტაძარში, ბილწება, სოდომელთ ცოდვა, უძღებობა, ქრთამის აღება, უჯერო ქორწინება და მრავალი ბოროტება გავრცელებულიყო. ყოველივე ეს უკუღმართობა აღკრძალა რუის-ურბნისის კრებამ, უღირსი ეპისკოპოსნი განაყენა, ღირსეულნი მათ ადგილად დაადგინა. მეფემ კრების განაჩენი დაამტკიცა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღმოჩნდნენ ბევრნი, რომელნიც არ დაემორჩილნენ ამ განაჩენს. აი, ამის ერთი მაგალითი.

– თვით მეფე დავითი მოგვითხრობს შემდეგს. იყო ღვთის შემაწუხებელი ძაგანი და მისი ძე მოდისტოსი, წინაუკმო მღვდელმოძღვარი. ერთმა მათგან „თვისთა პატრონთა წყალობა მათზედა საისრედ აღმახვა, ხოლო მეორემ ეკლესიები თვისად მიიტაცა. მაგრამ ეს მწყემსი ჭეშმარიტ მწყემსებმა დაამხვეს, ხოლო ძაგანი, შევლტოლვილი შიომღვიმეს, ღმერთმა ხელში ჩამიგდო, რადგან მღვიმის ბერები დამეხმარენო“.

– სჩანს, ურბნის-რუისის კრების დადგენილება არ მიუღია ხსენებულ ძაგანს და მის შვილს მოდისტოს და მიტაცებული საყდრები არ დაუთმიათ.

მეფემ ყოველი ბეგარისა და ხარჯისაგან გაათავისუფლა მონასტერნი და ლავრანი, ბერნი და მღვდელნი, ააშენა მრავალი ხიდი, ქვაფენილი გზები გაიყვანა, ააგო კიდევ მრავალი საყდარი, გააქრისტიანა ყივჩაყიდგან მოყვანილი მეომრები, ბევრი სხვა ურჯულონი.

– მეფე იყო ფრიად ქველი, ღარიბ-ღატაკთა შემბრალებელი. თავისი ნანადირებულით აღებულ ფულს აგროვებდა ქისაში. ყოველდღე ეს ქისა თან დაჰქონდა და ყველა შეხვედრილს ღატაკს გაიკითხავდა ხოლმე. და თუ რომელსამე დღეს არ შეხვდებოდა ვისმე ღარიბსა და უქონელს, იტყოდა ხოლმე: „დღეს ვერ მივეც ქრისტესა ჩემი ცოდვის გამო“. მოძღვარს იოანეს მისცა 24000 დრაჰკანი დასარიგებლად გლახაკთათვის და უქონელთათვის.

– ავადმყოფთა და უძლურთათვის მეფემ ააშენა დიდი ქსენონი (საავადმყოფო) და გაუჩინა მას უხვი საზრდო საკვები. მეფე ხშირად თვით მიდიოდა უძლურთა სანახავად, უსინჯავდა მათ ქვეშაგებს, ლოგინებს, საჭმელსა და სასმელს, ყველას ანუგეშებდა და აძლევდა ოქრო-ვერცხლსა. ძნელ ავადმყოფებს ასინჯვებდა მკურნალებს. მოგზაურთა სადგურად და დასასვენებლად მეფემ ააშენა შვენიერი სასახლეები, აგრეთვე მგოსანთა და ქადაგთა თავშესაფრად.. მგზავრსა და მგოსანს, რომელსაც კი მეფე შეხვდებოდა მამაშვილურად მოიკითხავდა ხოლმე და, ვინც უქონელი იყო და მგზავრობის განგრძობა აღარ შეეძლო ფულს აძლევდა და ისტუმრებდა.

– თავის სამეფოში სვლის დროს, სიჩქარისა თუ ჯარისა თუ ამალის (მხლებვლების) სიმრავლის გამო, მეფე ვერ განიკითხავდა ხოლმე ღარიბ-ღატაკებს და ყველა იმათ, რომელთაც ან საჩივარი ჰქონდათ და ან რამე სათხოვარი. ამისთანები, ვით ზაქე, ავიდოდნენ ხოლმე მაღლა ხეზე ან ბორცვზე და დაენახვებოდნენ მეფეს. მეფე იმ ხანს ჩაივლიდა და ღარიბების საჭიროების შესატყობად თავისს მოხელეს გზავნიდა. შეიტყობდა ყველაფერს დაწვრილებით და მერე, მოცლის დროს, მათს თხოვნას დააკმაყოფილებდა.

ელენე გელაშვილმა დღეს პირველად შემოგვთავაზა თავისი ნაფიქრ-ნააზრევი

თავისუფალი თემა

„შემოდგომის სევდიანი დღე“

აი, უკვე შემოდგომა გვეწვია და ისევ ჩვენს პატარა კუთხეში დაიდო ბინა. დროებით შემოგვიარა და ზაფხულის თბილი დღეები განდევნა. რა მოგვიტანა?! – წვიმა, ქარი, სუსხიანი დღეები და ცოტაოდენი მზის სხივები... ქარი ძალიან ეშმაკია, ყველა ხეს ერთდროულად დაუვლის და მოსტაცებს თავის შვილებს, საწყალი ხეები კი მაღლიდან დაჰყურებენ თავიანთ უმანკო არსებებს და იწყება სუსხიანი დღეები.

ქარი ერთგვარად ფოსტალიონს ჰგავს, მოგრიალდება და გვამცნობს შემოდგომის მობრძანებას, ხანდახან ისე ძლიერ უბერავს, რომ ადამიანს ეგონება, თითქოს ეს პატარა და შეუმჩნეველი არსება იმიტომ ღრიალებს ასე, რომ ადამიანის გრძნობები განდევნოს.

ქარი მოგლეჯს ღრუბელს და ნაკუწ-ნაკუწ აქცევს. მალევე წვიმა წამოვა, თქვენ რა გგონიათ? წვიმაა და მორჩა? არა, ეს ღრუბლები ტირიან, ტირიან თავიანთ ბედისწერაზე და იხსენებენ ყველა იმ ლამაზ და ტკბილ მოგონებას, რაც ოდესმე გადახდენიათ თავს. შემოდგომა მოდის და თან მოაქვს თავისი გრძელი, ხალიჩასავით ჭრელი ლაბადა. დაღლილ-დაქანცული ჩამობრძანდება საქართველოში და თავის უზარმაზარ ლაბადას გაშლის, როგორც ფიანდაზს. აი, ასეთია შემოდგომის სევდიანი დღეები.

***

მიკვირს, ჩემს ხელის გულებზე როგორ ნავარდობს მზის სხივები... ხან ქარი უშლის ნავარდობას, აღარ ნებდება.

ისიც კი მიკვირს, რა ლამაზია წვიმის წვეთები, თოვლი მოვა და ყველაფერი შეიღერცხლება, თუმცა ეს არ არის წელიწადის ლაღი დროები, მზე რომ დაჭერს, მოირთვება ირგვლივ ბალახი, ყელსაბამივით თან რომ დასდევს ჩრდილი პატარა, თან წვიმა ცეკვავს – ურჩი, უხეში...

მაგრამ, ცუდ ამინდს მზე რომ შეცვლის თავის დარებით, ზარს დარეკავს და ჩუმად იტყვის – ნუ დაღონდებით, ისევ ღრუბელს ეფარება სევდისმომგვრელად, მაშინ კი იწყებს ნავარდობას ქარი ღრიალა, არც ეს იქნება უსასრულო... თოვლი რომ მოვა, ყველაფერს შეეღერცხლის და დაიწყება თოვლის ცეკვა, ლაღი და კარგი, ასე იქნება სამუდამოდ, რადგან ასეა დაწესებული

ელენე გელაშვილი

12 წლის

პაატა ქოქიაური

ჯერ ვერ ვუწოდე ჩემს თავს პოეტი,
ეს პოეტობა რაღაა ნეტავ?!
ჯერ ვერ ამოვხსენ ლისტის სონეტი
ქარი კი სულის ყვავილებს პენტავს.
ვერ ჩავიმარხე პოეტურ ჟინში,
ზოგ ნაწერ ლექსს მე ვწუნობ ვხევ და...
არ ჩაგიდგებით არავის ჯინში,
მაგრამ, პოეტობას მაინც გავბედავ.

***

ჯერ ისევ დღეა, ჯერ ისევ მზეა,
ჯერ ისევ ზღვაზე ზურგის ქარია
„მხრებზე მოსხმული თეთრი აფრებით“
მე შენთან მოსვლა მომიხარია.
ხვალაც ინათებს, ხვალაც დათბება
ხვალაც მივხვდები ჩემდამი გრძნობას
ხვალაც „ჟორჟ ბიზე“ გამოაღვიძებს
ამ ჩემი გულის შენდამი ტრფობას.

გარეჯს და გარეჯელებს!

გარეჯის თავზე ლიცლიცებს ზეცა,
რეკავენ დოდოდ წმინდა ზარები,
ირგვლივ ფერების არის სიუხვე,
ივრის ჭალებში ქრიან ქარები.
იმ გოგლას შესმულ სავსე ფიალას,
კაკაბელ ვანოს ნამღერ „კახუროს“,
ჩვენი პაპების ალესილ ხანჯლებს
ფიცი ერთგულის დღესვე დაუდოთ!
თუ გამითავდეს კალმად მელანი,
გამომელიოს მარაგი სიტყვის –
ღმერთი დაბადებს ახალს, ძარღვიანს
თავის სათქმელსაც უთუოდ იტყვის.

ჩვენი გოგონები – წარმატებისკენ

ორი ოქრო, მრთი ვერცხლი, სამი ბრინჯაო და გუნდური პირველი ადგილი

აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ (დირექტორი: გ. მაისურაძე) მწვრთნელ ლუდა ფერაძის აღსაზრდელი ძიუდოისტი გოგონები, საქართველოსა თუ საერთაშორისო სარბიელზე ზედიზედ მოიპოვებენ წარმატებებს, ახალ-ახალ ფურცლებს წერენ გარეჯული სპორტის ისტორიაში და რაც მთავარია, უკვე დაიმკვიდრეს თავიანთი ადგილი ქვეყნის უძლიერეს სპორტულ კოლექტივებს შორის.

სახელოვანი სპორტსმენისა და მწვრთნელის აღსაზრდელებმა წარმატებით დაიწყეს ახალი, 2017 წელიც. ამასწინათ, თბილისში გამართულ საქართველოს პირველობაზე გოგონათა შორის მათ ორი ოქროს, ერთი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს და გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს. ამ წარმატებებთან ერთად აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული პირველობა მიზნად ისახავდა ევროპისა და მსოფლიოს მომავალი პირველობისათვის კანდიდატთა შერჩევას, სადაც მონაწილეობის უფლებას პირველ ადგილზე გასული ძიუდოისტები იღებდნენ. ისე, რომ ლუდა ფერაძის აღსაზრდელებს განაღდებული აქვთ ამ უმთავრესი შეჯიბრებების საგზურები. კერძოდ, ესენი არიან 44 კგ წონით კატეგორიაში საქართველოს ახალი ჩემპიონი **ანა ასანიშვილი** და 57 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვებული **თინანო რევაზიშვილი**, რომელმაც თავის შარშანდელ წოდებებს წლევანდელი საქართველოს ჩემპიონის წოდებაც შემატა და იმედია – მომავალ დიდ ასპარეზობებში ასახელებს საგარეჯოს და ჩვენს ქვეყანას.

საქართველოს ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ნამდვილად შესანიშნავი შემართება გამოიჩინა 48 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე მარიამ ლაფაჩიშვილმა. ამ ოთხი თვის წინ მიღებული ტრავმის მიუხედავად, რამაც მის ვარჯიშზეც იმოქმედა, მან სულ რადაც 5 დღეში შეძლო ამ ასპარეზობისათვის მომზადება, ფინალამდე დაუმარცხებლად მისვლა, თუმცა ბოლომდე ვერ შეძლო თავისი ძალების რეალიზება და ვიცე-ჩემპიონის ტიტულით დაგვიბრუნდა საგარეჯოში.

პირველობაზე დამსწრეთა გადმოცემით საუკეთესოდ იასპარეზა მათმა უმცროსმა თანაგუნდელმა, 2004 წელს დაბადებულმა **ნინი ლომლაძემ,** რომელსაც 44 კგ წონით კატეგორიაში მოუხდა გამოსვლა და ჭიდაობის დაწყებიდან დამთავრებამდე მაყურებელი ფეხზე მდგომი ადევნებდა თვალს. სამწუხაროდ, მსაჯთა არაობიექტურობამ მას გზა გადაუღობა ჩემპიონობისაკენ, მაგრამ მესამე ადგილზე გასული ჩვენებური ძიუდოისტი ძიუდოს სპეციალისტებმა ახალ აღმოჩენად შეაფასეს.

ასპარეზობის დაწყებიდან პირველი შეხვედრა დათმო, შემდეგ კი სამი ზედიზედ მოიგო და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა საქართველოს შარშანდელმა ჩემპიონმა, 40 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე **სალომე გულისაშვილმა.**

იგივე შედეგით დაგვიბრუნდა თბილისის ტატამიდან **მზია ტაკაშვილი,** რომელმაც ნახევარფინალში წააგო ბეგოშვილთან, ის კი ფინალში თინანო რევაზიშვილმა დაამარცხა.

ამჟამად გარეჯელი ძიუდოისტი გოგონები და მათი მწვრთნელი მომავალი ასპარეზობისათვის ემზადებიან. მათ წინ ელით დიდი საერთაშორისო ასპარეზობა თურქეთში ქალაქ ანტალიაში ევროპის თასის გათამაშება, რომლის დამთავრების შემდეგ იქვე გაიმართება შეკრება.

წარმატებები ვუსურვოთ მათ ამ და სხვა ასპარეზობებშიც.

გოგი დაბახიშვილი

ხსოვნა

ვალერი ბეჭიაშვილი

12 წლის წინ 9 თებერვალს ჩაიფერფლა სიცოცხლე, რომელიც ჯერ კიდევ დაბადებამდე, დედის წიაღში ტყუპისცალ ძმასთან ერთად დაიწყო...

12 წლის წინ გიორგიწმინდის ახალგაზრდობას ის მძლავრი ფესვი შეეჭრა, რომელიც სოფლის გულშემატკივართა დიდ წრეს სოფლის საქმეებში უშიშრად და ერთგულად ედგა.

ძლიერი, გენეტიკურად ლამაზი, ქართული წეს-ჩვეულებების მიმდევარი ოჯახის შექმნის ნაცვლად სულთა საუფლოში გადაინაცვლა...

და დარჩა გიორგიწმინდელების ხსოვნაში ლამაზად გაღიმებული, ლამაზი აღნაგობის ბიჭი, რომლის ნაფეხურები წვიმა-თოვლმა და მზემ ნელ-ნელა წაშალა მიწიდან, მაგრამ სახელი, რომელიც სამუდამოდ რჩება, აი, სახელი კი ვერ იშლება...

ნათელში გამყოფოს უფალმა, ჩვენო ვალერ!

ვანო ბეჭიაშვილი

მადლიერება

ამ დღეებში ჩემი ოჯახი ***საქართველოს პარლამენტის წევრმა,*** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა **რომან მუჩიაშვილმა** თავის ბიუროს თანამშრომლებთან ერთად მოინახულა – იმ დღეს ისინი სოფლების მოსახლეობის იმ კატეგორიას ესტუმრნენ, რომლებიც პენსიონერები და სოციალურად დაუცველები არიან. მან გულთბილად გამოიკითხა ჩვენი მდგომარეობა და შემდეგ შეგვპირდა შეშით დახმარებას. სამ დღეში ჩვენი მუნიციპალიტეტის რჩეულმა მართლაც გამოგვიგზავნა შეშა. მადლობას ვუხდი მას ასეთი ყურადღებისა და დახმარებისათვის.

არსენ გზირიშვილი,
პენსიონერი, ქ. საგარეჯო

სპორტი

ჭიდაობის ახალ სექციაში როცა ინტერესი დიდია

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა მოსახიდად და დასაოსტატებლად აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ხელმძღვანელობამ გასული წლის 18 ოქტომბერს ახალი სექცია გახსნა. ***სექციის მწვრთნელები* თამაზ ჟიფიანი და ვასიკო მარტიაშვილი** დიდი ენთუზიაზმით შეუდგნენ მუშაობას და აი, თებერვლის დასაწყისში, მეცადინეობაზე მისული ვარჯიშით დატვირთული 15 მოჭიდავე დაგვხვდა, სამი ავადმყოფობის გამო გვიცდენს მეცადინეობასო, – მითხრეს მწვრთნელებმა. ზაზა ბახუტოვი, ტარიელ პაატაშვილი, ქერიმ მაჩალიკაშვილი, მუხმად წუწაშვილი უკვე ჩამოყალიბებული მოჭიდავეები არიან, ისინი გარკვეულ წარმატებებსაც აღწევენ, კერძოდ, იციან თამაზ ყიფიანის თითოეული სიტყვის ფასი, სჯერათ და სწამთ მისი მიზანმიმართული შრომის ფასი და თავადაც მიზანმიმართულად მსოფლიო სარბიელზე გასვლისათვის ემზადებიან.

დათო კეკლიშვილი და სოსო ალექსაშვილი, გიორგი, საბა გვარამაძეები, აკა არუნაშვილი, ლუკა მარტიაშვილი, ზეზვა ბაიხოძე, შალვა მაჭარაშვილი, ომარ კაკუტაშვილი, ლუკა თედიაშვილი, ნიკა სუხიაშვილი, ნიკა ნანუაშვილი, კოკა კიკვაძე კი ახლა ემზადებიან ჭიდაობის იმ ილეთის დასაუფლებლად, რომელიც ბერძნულ-რომაულ ჭიდაობას სხვა სახეობიდან განასხვავებს. ბიჭებს ბერძნულ-რომაული ჭიდაობით დაინტერესების მიზეზი ვკითხე. – საბერძნეთში დავიბადე, წლები იქ ვცხოვრობდი, – მეუბნება შალვა მაჭარაშვილი, – აქ თანდათან მავიწყდება ბერძნული, როცა სექცია გაიხსნა, აქ მოვედი, იქნებ კარგად გავიცნო და შევისწავლო ამ ჭიდაობის ილეთები. მართალია, დედ-მამა ქართველები მყავს, მაგრამ ხომ საბერძნეთში დავიბადე და იქ აქამდე ვიზრდებოდი?! – მე ვასიკო მასწავლებელმა დამაინტერესა და დამაკვალიანა ამ სექციაში მოსასვლელად, – მითხრა დათო კეკლიშვილმა.

ზეზვა ბაიხოძე კი ახმეტიდან „გადმოჰყვა“ თამაზ მასწავლებელს. მასთან წვრთნა-მომზადების გაგრძელების სურვილი აქვს. თამაზი მასწავლებელი ხომ ახმეტიდან გადმოვიდა გარეჯელი ბიჭების ჭიდაობის სამჭედლოში გამოსაწრთობად.

სექციის პირველი წარმატებებიც იზეიმეს. გიორგი გვარამაძემ და ლუკა თედიაშვილმა გარდაბანში, მუხმად წუწაშვილმა, ტარიელ პაატაშვილმა თერჯოლაში; მუხმად წუწაშვილმა, ზეზვა ბაიხოძემ და აკაკი რომაშვილმა რუსთავში საკმაო გამარჯვებებით იჭიდავეს.

ვუსურვოთ გაბედული ნაბიჯებით სიარული სექციის თითოეულ მოსწავლეს იმ წარმატებებისკენ, რომლებზედაც ისინი ოცნებობენ და რომლისკენაც მწვრთნელებთან ერთად მუნიციპალიტეტისა და სპორტგაერთიანების ხელმძღვანელების ხელშეწყობით მიზანმიმართულად ივლიან.

სოციალურმა კვლევამ დაადასტურა – საქართველოში ახალგაზრდების უმეტესობას მშობლები არჩენენ

ისედაც ნათელია და ყველამ იცოდა, რომ საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების უმრავლესობა, 62% ფინანსურად მშობლებზეა დამოკიდებული, მაგრამ სულ სხვაა, როცა ეს კვლევითაც დასტურდება. ახლახანს, ფრიდრიხ ებერტის ფონდმა ჩაატარა გამოკვლევა და შედეგებიც გამოაქვეყნა.

კვლევის თანახმად, ახალგაზრდების 27%-სთვის შემოსავლის წყაროს პირადი ანაზღაურება წარმოადგენს, მათ შორის ხელფასი. კვლევაში მონაწილეთა 14% აცხადებს, რომ მას პარტნიორი (მეუღლე, პარტნიორი გოგო/ბიჭი) არჩენს. გამოკითხული ახალგაზრდების 8% აცხადებს, რომ ფინანსურად მშობლები და ნათესავები ეხმარებიან. 7%-ის თქმით, მისი შემოსავალი ოჯახის პენსიაა. კიდევ ერთი ნიუანსი ჩვენი დღევანდელობისა – კვლევის მიხედვით, ახალგაზრდების ხარჯების დიდი ნაწილი მიმდინარე კრედიტების დაფარვაზე მოდის. "ახალგაზრდების 20% მიმდინარე კრედიტს იხდის, რომლის საშუალო თვიური ხარჯი 190 ლარს შეადგენს. ასეთი ხარჯები განსაკუთრებით მაღალია თბილისის გარდა, სხვა ქალაქებში მცხოვრები რესპონდენტებისთვის. სიდიდით მეორე ხარჯი - საშუალოდ, 110 ლარი თვეში მოგზაურობაზე მოდის, ხოლო ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის საყიდლად და სიგარეტისთვის ყველა კატეგორიის ხარჯი თვეში საშუალოდ 80 ლარია. ახალგაზრდები გართობაზე თვეში საშუალოდ 60 ლარს ხარჯავენ და ეს ხარჯი მოიცავს, როგორც კულტურულ ღონისძიებებზე დასწრებას, ასევე მეგობრების შეკრებებსაც, ხოლო მათი ყოველდღიური გადაადგილების სატრანსპორტო ხარჯი თვეში დაახლოებით 55 ლარია. სახლის გარეთ კვება თვეში საშუალოდ 42 ლარს შეადგენს. წიგნების შესაძენად, მობილურისა და სილამაზის სალონის ხარჯებისთვის ახალგაზრდები თავიანთი ბიუჯეტის ყველაზე მცირე წილს ხარჯავენ", - ნათქვამია კვლევაში.

შედარებით მაღალი შემოსავლიდან გამომდინარე, ტრანსპორტზე, გართობაზე, გარეთ ჭამასა და სიგარეტზე ახალგაზრდა მამაკაცები უფრო მეტს ხარჯავენ, ვიდრე ქალები. "ერთადერთი ხარჯი, რომელიც ახალგაზრდა ქალებისთვის უფრო მაღალია, ვიდრე ამავე ასაკის მამაკაცებისთვის, სილამაზის სალონის ხარჯებია. დასაქმებულ ახალგაზრდებს უფრო მაღალი დანახარჯები აქვთ. ხარჯები ასევე იზრდება ასაკთან ერთად",- ნათქვამია კვლევაში "თაობა გარდამავალ პერიოდში". კვლევის მიხედვით, ახალგაზრდების 70% თავის მშობლებთან ერთად ცხოვრობს. მშობლებზე დამოკიდებულების ხარისხი, ასაკის ზრდასთან ერთად იკლებს. 14-18 წლის ასაკობრივ კატეგორიაში ახალგაზრდების 90% ცხოვრობს მშობლებთან ერთად. საშუალო ასაკობრივ კატეგორიაში (19-24 წელი), ეს მაჩვენებელი 67%-ია, ხოლო 25-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში რესპონდენტების მხოლოდ 52% ცხოვრობს მშობლებთან ერთად. ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ კვლევა "თაობა გარდამავალ პერიოდში" 2016 წლის მაისი-ივნისის პერიოდში ჩატარდა. იგი ქვეყნის მასშტაბით 14-29 წლის ახალგაზრდებს მოიცავს.

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“ გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 500

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 599 502 842 599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru